JEL Classification: M10; M14; M16 https://doi.org/10.35945/gb.2021.12.010

PERSPECTIVES OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT UNDER THE CONDITIONS OF UNCERTAINTY CAUSED BY COVID PANDEMICS

TEMUR SHENGELIA

Doctor of Economic Sciences, Professor

Ivane Javakhisvili Tbilisi State University,

Academician of the Georgian Academy of Economic Sciences, Georgia

shengelia.temur@gmail.com

Abstract. A market economic system based on the means of production is characterized by fundamental uncertainty. The differences between the fundamental uncertainties and the risks lie in the fact that it is impossible to empirically measure the level and dynamics of future threats. A correct understanding of the uncertainty is essential for the study and analysis of the crisis. Under the influence of the COVID-19 pandemic, world economy found itself in a new global crisis, which had a significant impact on the rise of economic and social uncertainty, the degree of which is so high that it is impossible to predict the model of the economic and social development due to the current pandemic. The current economic crisis is characterized not only by global losses but also by the limited sources of compensation. According to scientists (Adžić & Al-Mansour, 2021) a crisis of this magnitude is the most unprecedented economic event of the last century.

The COVID-19 world pandemic crisis has limited a traditional opportunities for small business, accordingly has emerged a new one. The most difficult problem was created in the value chain. Small business is a heavily dependent on consumers and suppliers behaviour, therefore, changes in the value chain have a significant impact on all of its participants. The closure of national borders has led to the disruption of the logistics network;

And after the reduction of the stocks, it threatens to almost all participants in this network.

It is important to consider the uncertainties and risks that are involved while studying small business crisis behavior. As a result even the most trained institutions are approaching disaster. After a pandemic, the universe will find itself in a larger, no less turbulent zone.

Prior to the crisis, cost was the most important criterion while choosing a supply chain that had led to single suppliers and small stocks for small businesses. As it seems during the pandemic, this choice turned out to be one of the most important causes of the small business crisis. At the same time, dependence on one supplier has undergone a transformation into the need to diversify stocks, that has led to an increase in funding sources and which has led to the financial instability of a small company.

These examples of the correlation between environmental and small business threats have illustrated the need for a global vision in order to adapt anti-crisis behavior model .A global vision is certainly needed. There is no single, optimal choice for overcoming uncertainty, however, the importance of the multivariate strategies is an important. Small firms found themselves unprepared for such approaches, leading to a high level of uncertainty. As well as, when a small business is in the early stages of its life cycle, the lack of experience limits its choice, and the lack of resources prevents it from choosing an effective strategy, that has exacerbated the problems of the small firms.

KEYWORDS: FUNDAMENTAL UNCERTAINTY, CORONAVIRUS, SMALL BUSINESS, CRISIS, RESEARCH, DIGITIZATION OF BUSINESS.

For citation: Shengelia, T., (2021). Perspectives of small business development under the conditions of uncertainty caused by COVID pandemics. *Globalization and Business.* 12, 77-82. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.010

JEL Classification: M10; M14; M16 https://doi.org/10.35945/gb.2021.12.010

მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში

თემურ შენგელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
shengelia.temur@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ფუნდამენტური გაურკვევლობა, კორონავირუსი, მცირე ბიზნესი, კრიზისი, კვლევა, ბიზნესის გაციფრულება.

ციტირებისთვის: თ.შენგელია. მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 77-82. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.010

გაურკვევლობისა და რისკების გათვალისწინება მცირე ბიზნესის კრიზისული ქცევის შესწავლაში

კორონავირუსის პანდემია (COVID-19), სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში, რამაც გამოიწვია გლობალური ეკონომიკის რეცესია. ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური მცდელობების მიუხედავად, ის აგრძელებს გავრცელებას, რამაც გააფართოვა მისი ეკონომიკური შედეგების კვლევა. ყველაზე არსებითად კრიზისის ზეგავლენა აისახა მცირე ბიზნესზე. კორონავირუსის მსოფლიოს ყველა ნაწილში სწრაფად გავრცელების გამო, მცირე ბიზნესი დადგა პანდემიის, ეპიდემიის, კარანტინისა და შეზღუდვების გამოწვევების წინაშე.

COVID-19 პირველ ტალღის დროს, თვითიზოლაციისა და საკარანტინო რეჟიმის შემოღების შედეგად, მცირე ბიზნესი არსებითად დაზარალდა. მოთხოვნის შემცირებამ ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მცირე ბიზნესის სექტორს. ეკონომიკის დაპაუზების პოლიტიკამ დასაქმებულთა ხელფასების შენარჩუნებით, შეზღუდა მცირე ბიზნესის კომპანიების საქმიანობა, რაც აისახა მათ ფინანსურ მაჩვენებლებში. მცირე ბიზნესი, რომელმაც ვერ შეძლო გადასვლა საქონლისა და მომსახურების ონლაინ ფორმატზე, გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ზოგიერთ ორგანიზაციაში, მაგალითად, ტურისტულ სააგენტოებში, სარესტორნე ბიზნესში, ანტიეპიდემიოლოგიური შეზღუდვების შემოღების შემდეგ, შემოსავალი შემცირდა 90%-ით (Shengelia & Gasviani, 2020).

ვითარების უპრეცედენტობა გამოიხატება იმაშიც, რომ COVID-19 არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები. 2020 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური აქტიურობა შემცირდა ისეთ დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა: ჩინეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონია, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში, რადგან ისინიც დილობდნენ განსხვავებული მიდგომებით გამკლავებოდნენ პანდემიას. ზოგადად, მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2020 წლის პირველ კვარტალში გლობალური GDP 11,2%-ით შემცირდა (Kozak et al., (2020), რაც მნიშვნელოვნად აღემატება გლობალური ფინანსური კრიზისის ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ.ცხრილი 1).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, გლობალური GDP-ს დაცემა 2021 წელს 3% იქნება, რაც ყველაზე

ცხრილი1. წლიური მშპ-ს დინამიკა მსოფლიო ქვეყნების მიხედვით %-ში

	2017	2018	2019	2020
მსოფლიო მშპ	3,3	3,0	2,4	-7,7
განვითარებული ქვეყნები:	2,5	2,1	1,6	-8,4
აშშ	2,4	2,9	2,3	-7,9
ევროკავშირი	2,5	1,9	1,2	-10,1
იაპონია	2,2	0,3	0,7	-6,8
განვითარებადი ქვეყნები:	4,5	4,3	3,5	-6,6
ჩინეთი	6,8	6,6	6,1	-4,9
თურქეთი	7,5	2,8	0,9	-6,8
მექსიკა	2,1	2,2	-0,3	-8,7
საუდის არაბეთი	-0,7	2,4	0,3	-5,7
ინდოეთი	7,0	6,1	4,2	-9,0
სამხრეთ აფრიკა	1,4	0,8	0,2	-8,0

წყარო: OECD, 2020.

მაღალი მაჩვენებელია დიდი დეპრესიის შემდეგ (http://cbr.ru/Collection).

პანდემიურმა კრიზისმა შეზღუდა მცირე ბიზნესის ტრადიციული შესაძლებლობები, ამასთან წარმოქმნა ახალი. ყველაზე რთული პრობლემა შეიქმნა ღირებულების ჯაჭვში. მცირე ბიზნესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომხმარებლებზე და მიმწოდებლებზე, ამიტომ, ღირებულების ჯაჭვში განხორციელებულ ცვლილებებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნია მის ყველა მონაწილეზე. ეროვნული საზღვრების დაკეტვამ გამოიწვია ლოჯისტიკური ქსელის მოშლა, ხოლო მარაგების შემცირების შემდეგ, საფრთხე დაემუქრა ამ ქსელის თითქმის ყველა მონაწილეს (Berishvili, 2020).

მსოფლიო განიცდის უზარმაზარი მაშტაბის კრიზისს, რისთვისაც ის მოუმზადებელი აღმოჩნდა, ამიტომ, დღესაც კი არ არსებობს ეფექტიანი წინადადებები იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია COVID-19 პანდემიით გამოწვეული მცირე ბიზნესის დაცემის დასაძლევად. ამიტომ, მცირე ბიზნესის კრიზისული ქცევის შესწავლაში მნიშვნელოვანია გაურკვევლობისა და რისკების გათვალისწინება. როგორც ჩანს, კორონავირუსის პირველი ტალღის სწრაფი აღდგენის მცდელობას, მეორე ტალღა შეეწირა, ხოლო ეპიდემიოლოგები მესამე ტალღისთვისაც ემზადებიან. ჰ. ეთერმადის (Etermad, 2020) აზრით, ბოლო ექვსი თვის მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ყველაზე მომზადებული ინსტიტუტებიც კი მიუახლოვდნენ კატასტროფას. რ.ჰაასი აღნიშნავს, რომ პანდემიის შემდეგ, სამყარო უფრო დიდ, არანაკლებ ტურბულენტობის ზონაში აღმოჩნდება (Haas, 2020).

კრიზისამდე, მომარაგების ჯაჭვის არჩევისას ღირებულება ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო, რამაც მცირე ბიზნესი მიიყვანა ერთ მიმწოდებლამდე და მცირე მარაგებამდე. როგორც ჩანს, პანდემიის დროს სწორედ ეს არჩევანი აღმოჩნდა მცირე ბიზნესის კრიზისული მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. ამავე დროს, დამოკიდებულებამ ერთ მიმწოდებელზე, განიცადა ტრანსფორმაცია მარაგების დივერსიფიკაციის აუცილებლობაში, რამაც გამოიწვია დაფინანსების წყაროების ზრდა და რაც გახდა მცირე კომპანიის ფინანსური არასტაბილური მდგომარეობის მიზეზი (Shengelia & Gelashvili, 2020).

გარე გარემოსა და მცირე ბიზნესის საფრთხეების კორელაციური კავშირის ამსახველი ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ანტიკრიზისული ქცევის მოდელების ადაპტაციის მიზნით, საჭიროა გლობალური ხედვა. გაურკვევლობის გადასალახავად არ არსებობს ერთი, ოპტიმალური არჩევანი, ამასთან, მრავალვარიანტიანი სტრატეგიების მნიშვნელობა წინ იწევს. ასეთი მიდგომებისთვის მცირე ფირმები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ, რამაც განსაზღვრა გაურკვევლობის მაღალი დონე. გარდა ამისა, როდესაც მცირე ბიზნესი სიცოცხლის ციკლის საწყის ეტაპზეა, გამოცდილების ნაკლებობა ზღუდავს მის არჩევანს, ხოლო რესურსების მიუწვდომლობა ხელს უშლის ეფექტიანი სტრატეგიის არჩევას, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მცირე ფირმების პრობლემები (Shengelia, 2017).

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ COVID-19 კრიზისის პირობებში მცირე ბიზნესის გადარჩენის მთავარი გზა ტექნოლოგიური ადაპტაციაა (პირველ რიგში ონლაინ გადაწყვეტილებები). მცირე ბიზნესმა, რომლებმაც შეინარჩუნა ტრადიციული სტრატეგიები, ვერ შეძლო განვითარების ტემპის შენარჩუნება. განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის ბიზნესი, რომელმაც განიცადა ციფრული ტრანსფორმაცია. მცირე საწარმოებმა, მათი დინამიური შესაძლებლობების გამოყენებით, სწრაფად განახორციელეს ცვლილებები საკუთარი პლატფორმების საშუალებით (მაგალითად, Yandex, Alibaba, Amazon და სხვა). ცალკეული კომპანიების წარმატების მიუხედავად, გაიზარდა მცირე ბიზნესისათვის საფრთხეების საერთო დონე, რაც კონკურენტი კომპანიების ბაზრიდან განდევნის სტრატეგიის ფორმირებაში გამოიხატა.

ეჭვგარეშეა, ეკონომიკური გაურკვევლობის გავლენა მცირე ბიზნესზე უფრო არსებითია, ვიდრე მსხვილზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ის, რომ მცირე ბიზნესსაქმიანობა მოითხოვს საბაზრო ფაქტორებზე ოპერატიულ რეაგირებას, რაც, ერთი მხრივ ზრდის ბაზრის ტენდენციებზე მათ მგრძნობიარობას, მაგრამ მეორეს მხრივ ქმნის გრძელვადიან საფრთხეებს. ის ბიზნესი, რომელსაც არ გააჩნია სწრაფი ცვლილებების მიმართ დამცავი პოტენციალი, მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ იმყოფება (Shengelia, 2014).

ეკონომიკური განვითარების მოცემული ეტაპისთვის ის ფაქტორები, რომლებიც მცირე ბიზნესისთვის ქმნიან გაურკვევლობას შემდეგია:

- პანდემიის ნეგატიური ზეგავლენა;
- ნავთობის ფასების შოკის ცვლილების ფაქტორები;
- მთავრობის მიზნობრივი რეგულირება და მხარდაჭერა;
- ციფრული გარდაქმნები;
- მცირე ბიზნესის საქონლისა და მომსახურების მოხმარების სქემების შეცვლა;
- ვალუტის არამდგრადი კურსი და სხვა.

ანტიკრიზისული სტრატეგიის შესწავლის პროცესში, არ უნდა გამოირიცხოს რისკის კონცეფცია და კრიზისული პრობლემების დაძლევის ის გზები, რომელსაც მცირე კომპანიები აწყდებიან. ამასთან, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ზრდიან ან ამცირებენ გამოცდილების დონეს კრიზისული პრობლემების გადაჭრაში, რაც გაურკვევლობის საფუძველია, მნიშვნელოვანია კრიზისის პერიოდის კვლევის სიზუსტისთვის. კრიზისული მოვლენების ზრდის პროცესში წარმოქმნილი გაურკვევლობის საკითხის განხილვისას გამოიყენება განსხვავებული (მაგალითად, დ. აკერლოფის (Akerlof, 2001) ან ფ. ნაიტის (Knight, 2003)) მიდგომები. ორივე მიდგომის საფუძველში არის ობიექტური ან სანდო ინ-

ფორმაციისა და ცოდნის არარსებობა. თუ ფ. ნაიტი გაურკვევლობას მიაკუთვნებს გრძელვადიან პერიოდს, დ. აკერლოფის გაურკვევლობები შედარებით მოკლე პერიოდს ეხება. ამ მიდგომებს ავსებს ო. უილიამსონის (Williamson, 1996) ნაშრომი ოპორტუნისტული ქცევის შესახებ, როდესაც ერთი მხარე მოქმედებს ოპორტუნისტულად, რათა მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი ინტერესი მეორის ხარჯზე, ხოლო მეორე მხარეს არ შეუძლია მიიღოს საჭირო ობიექტური ინფორმაცია გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად. COVID-19 კრიზისის დროს ორივე ფენომენი (ასიმეტრია და ოპორტუნისტული ქცევა) აშკარად შეინიშნებოდა და ხელს უწყობდა კრიზისის გაღრმავებას.

კორონავირუსის პირველი ტალღიდან მეორეზე გადასვლის დროს მცირე ბიზნესის ძირითადი შეცდომა გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატებული პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციაზე უარის თქმა აღმოჩნდა. პირველი ტალღის შემდეგ დაშვებული შეცდომა მცირე ბიზნესის მიერ ძველი ბიზნეს მოდელის შენარჩუნების მცდელობაც იყო (Shengelia, 2020).

COVID-19 პანდემიის პირობებში მცირე საწარმოების თვისობრივი კვლევა

გაურკვევლობის ანალიზის შემდეგ, ჩვენ შევადგინეთ იმ ფაქტორების ნუსხა, რომლებიც, მკვლევარების აზრით, გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის ქცევაზე. ზოგიერთი მათგანი უკვე განხილული იყო ზემოთ (მომარაგების მოშლა, მომარაგების ჯაჭვების უუნარობა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა და სხვა).

ჩატარებული კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა 30 კითხვა, რომელიც შეესაბამება კონკრეტული ფაქტორის აღწერილობას. აუცილებელი გახდა ფაქტორების რანჟირება, მათი მნიშვნელობისა და ცვლილების ტენდენციის შესაფასებლად. მაგალითად, კითხვაზე „აქვს თუ არა გავლენა შემოსავლის ცვლილებას მცირე ბიზნესის მდგომარეობაზე 2021 წელს?“, მივიღეთ პასუხები, სადაც მითითებულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შემოსავლის შემცირებაზე, ან მის ზრდაზე.

ქვემოთ მოცემულია კითხვარში შეტანილი ზოგიერთი ფაქტორის საფუძვლიანობა ასახულია რიგი ავტორების კვლევებში. ავტორთა გუნდის აზრით, რომელსაც მ. რაპაჩინი ხელმძღვანელობს (Rapaccini et al., 2020) ლოკდაუნმა (სამუშაოს აკრძალვა) უარყოფითი გავლენა მოახდინა მცირე ბიზნესზე. დ. გერდმანის (Gerdeman, 2020) თანახმად, კოვიდ პანდემიის პირობებში მომარაგების ჯაჭვის სტაბილიზაცია, ხდება კრიზისის პირობებში ბიზნესის აღდგენის ძირითადი ფაქტორი.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პანდემიური კრიზისის პირობებში სამუშაოდან განთავისუფლების შეფასება. მაგალითად, ნ. დონტუ (Donthu & Gustafsson, 2020) ამტკიცებს, რომ ადამიანები კარგავენ სამსახურს იმ ტემპით, რაც ჩვენ არ გვინახავს 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ. ა.ტარკის (Tarki et al., 2020) მიაჩნია, რომ COVID-19 კრიზისში, გაკოტრებების თანმდევი რისკების, მათ შორის სამუშაოდან განთავისუფლების პრობლემა უკიდურესად აქტუალურია.

ტრადიციულად, ინოვაციების მკვლევარები ამტკიცებენ, რომ პოსტკრიზისულ ეკონომიკაში სწორედ ინოვაციური გადაწყვეტილებები იქნება ყველაზე მოთხოვნადი. ს. რეტერი და ც. პედერსენი (Ritter & Pedersen, 2020) განიხილავენ COVID-19 კრიზისის მნიშვნელოვან როლს ინოვაციების სტიმულირებაში. სახლიდან მუშაობასთან დაკავშირებული სირთულეები, გამოავლინა დ. გერდემანმა (Gerdeman, 2020). მეცნიერმა შეისწავლა სამუშაოსა და გარემოს, სამუშაოსა და ოჯახს შორის კონფლიქტის მიზეზები. დისტანციურმა მუშაობამ შეცვალა მიდგომა სამუშაოს ორგანიზაციისადმი. მრავალი ათწლეულის განმავლობაში შემუშავებული საკომუნიკაციო ტექნიკა და მეთოდები მკვეთრად შეიცვალა. კომუნიკაციის პერსპექტივები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ინტერნეტისა

ცხრილი 2. Covid-19 პანდემიის პირობებში მცირე საწარმოების თვისობრივი კვლევის შედეგები

ფაქტორები	ცვლილების ტენდენცია	%
სამუშაო ადგილების ორგანიზაცია	დისტანციური	53,3
გადახდისუნარიანობა	შემცირებული	14,1
ინტერნეტის სიჩქარე	არასაკმარისი	29,4
თანამედროვე ტექნოლოგიები	არასაკმარისი	6,9
მმართველობა	შემცირებული ეფექტიანობა	27,4
საფინანსო რესურსები	არასაკმარისი	51,9
სამუშაოდან გათავისუფლება	ზრდა	62,1
დანახარჯები	ზრდა	32,9
ტექნოლოგიური პროცესი	არასტაბილური	28,6
ლოჯისტიკური პრობლემები	ხშირი	41,9
შემოსავალი	შემცირება	51,5
ახალი სტრატეგიების დანერგვა	გაიზარდა	19,3
ახალი შესაძლებლობები	გაიზარდა	12,2
ციფრული ინოვაციები	გაიზარდა	32,1

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

და სოციალური ქსელების, აგრეთვე ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით გახდა აქტუალური. ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიებმა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ტრადიციული ინდუსტრიების ტრანსფორმაციაში, რაც მოითხოვს IT ტექნოლოგიების მოდერნიზებას. მთელ მსოფლიოში სახელმწიფო მხარდაჭერა მიზნად ისახავს ფინანსური დახმარების გზით დასაქმების შენარჩუნებას. ს. ნენონენი და კ. სტორბაკა (Nenonen & Storbacka, 2020) მსჯელობენ ბიზნესის ახალ შესაძლებლობებზე, ისინი ემხრობიან მოსაზრებას, რომ კოვიდკრიზისი იწვევს არა მხოლოდ პრობლემებს, არამედ ქმნის შესაძლებლობებს. ეს ასევე დასტურდება ჩვენი კვლევით, რომლის მიხედვით პანდემიას აქვს დადებითი შედეგებიც, მათ შორისაა: ბიზნესის გაციფრულება, ახალი შესაძლებლობები, ახალი სტრატეგიები, კომუნიკაციის ახალი არხები (ცხრილი 2).

როგორც ვხედავთ, მცირე კომპანიების დიდმა ნაწილმა შეძლო წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის ახალი კოვიდპანდემიური კრიზისის შესაბამისად გადაწყობა, ამასთან, ამ ცვლილებების ტემპი არასაკმარისია, რაც არსებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე. გარდა ამისა, ციფრული არჩევანის ანალიზმა მეტი ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა, მათ შორის ზრდის კომპონენტის (შემოსავალი, ახალი შესაძლებლობები და ა.შ.) თვალსაზრისით. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული სერვისების ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კვლევის მონაწილეებზე, რაც ადასტურებს ჩვენ ჰიპოთეზას კოვიდკრიზისის პირობებში მცირე ბიზნესის ახალი შესაძლებლობების შესახებ.

საბოლოოდ ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შეცვლილი ანტიკრიზისული მიმართულებები უნდა მოიცავდეს ბიზნესკლიმატის გარდაქმნასთან და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებულ სფეროებს.

დასკვნა

COVID-19 პირველ ტალღის დროს, თვითიზოლაციისა და საკარანტინო რეჟიმის შემოღების შედეგად, ყველაზე მეტად მცირე ბიზნესმა განიცადა ზარალი. მკვეთრად შემცირდა მოთხოვნა, რამაც მნიშვნოლოვანი ზარალი მიაყენა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს. ეკონომიკის დაპაუზების პოლიტიკამ დასაქმებულთა ხელფასების შენარჩუნებით, მნიშვნელოვნად შეზღუდა მცირე ბიზნესის კომპანიების საქმიანობა.

მცირე კომპანიების დიდმა ნაწილმა შეძლო წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის ახალი კოვიდპანდემიური კრიზისის შესაბამისად გადაწყობა, ამასთან ამ ცვლილებების ტემპი არასაკმარისია, რაც არსებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე. გარდა ამისა, ციფრული არჩევანის ანალიზმა მეტი ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა, მათ შორის ზრდის კომპონენტის (შემოსავალი, ახალი შესაძლებლობები და ა.შ.) თვალსაზრისით. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული სერვისების ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კვლევის მონაწილეებზე, რაც ადასტურებს კოვიდკრიზისის პირობებში მცირე ბიზნესის ახალი შესაძლებლობების შესახებ ჩვენ ჰიპოთეზას.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Adžić, S., & Al-Mansour, J. (2021). Business analysisinthe times of COVID-19: Empirical testing of the contemporary academic findings// Management Science Letters, 11,1-10.

Akerlof, D. (2001). Identity and the Economics of Organizations. *Journal of Economic Perspectives*, 19(1), 9–32.

Berishvili, Kh. (2020). Implementation of the concept of business social responsibility in the political systems of social democracy. *World economy and international economic relations*. 3.

Carnevale, J. B., & Hatak, I. (2020). Employeead justment and well-being in the era of COVID-19: Implications for human resource management. *Journal of Business Research*. 116, 183-187.

Donthu, N., & Gustafsson, A., (2020). Effects of COVID-19 on business and research. *Journal of Business Research*. 117, 284-289.

Gerdeman, D., (2020). How the Coronavirus Is Already Rewriting the Future of Business. HBS Working Knowledge, URL: http://hbswk.hbs.edu/item/how-the-coronavirus-is-already- rewriting-the-future-of-business.

Haas R, 2020. The world: brief introduction. NY: Penguin Press.

Knight, Fr. (2003). *Risk, Uncertainty, and Profit*. NY: Penguin Press.

Kozak, Y., Shengelia, T., & Gribincea, A. (2020). The current state of the world economy, international economic relations and the paradigm of global issues. *World economy and international economic relations*. 4, 5-11.

Nenonen, S., & Storbacka, K., (2020). Don't adapt, shape! Use the crisis to shape your minimum viable system– And the wider market. *Industrial Marketing Management*, 2020, 88, 265-271.

OECD, (2020). Statistical Insights: Small, Medium andVulnerable. URL:http://www.oecd.org/sdd/business-stats/statistical-insights-small-medium-and-vulnerable.htm

Rapaccini, M., Saccani, N., Kowalkowski C., Paiola M., & Adrodegari, F., (2020). Navigating disruptive crises through service-ledgrowth: The impact of COVID-19 on Italian manufacturing firms. *Industrial Marketing Management*. 88, 225-237.

Shengelia, T. (2014). Tendencies of the Capital International Movement and Its Influence on the Economy of the Sovereign State. *International Journal of Science, Technology and Medicine*. 6 (1), 49.

Shengelia, T. (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. *International business in the world economic system.*

Shengelia, T. (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system.

Shengelia, T., & Gelashvil, M. (2020). Export potential of Georgia. *World economy and international economic relations.* 3, 29-33.

Shengelia, T., Gasviani, B. (2020). Establishment of the stages of organizational development in Georgian SME's. *World economy and international economic relations*. 3, 11-15.

Shengelia, T., Kirkitadze, Z. (2020). The Post-Coronavirus Economy of the World and Georgia. *Economics and Business*,4.

Shengelia, T., Kozak, Y., & Kirkitadze, Z. (2020). FDI motivation effects on Host countries. *World economy and international economic relations*. 4, 15-20.

Tarki, A., Levy, P., & Weiss, J. (2020, March 20). The Coronavirus Crisis Doesn't Have to Lead to Layoffs. In Coronavirus and Business: The Insights You Need from *Harvard Business Review*. Harvard Business Review. https://www.harvard business.org/wp-content/uploads/2020/03/HBR_The_Coronavirus_Doesnt_Have_to_Lead_to_Layoffs.p

Williamson, Oliver E. (1996). *The Economic Institutions of Capitalism.* New York: Macmillan.